ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ, იმოქმედოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად.

1962,06/3926,1756,08/9241,2035
6822,02/6764,06/1965,19889,19399
1830,20865,14371,258,6608,2898,340
06/4597,04/7012,06/4539,06/4609
06/2038,18597,3390,5219,06/4810
07/4256,557,06/4381

20.06.17წ.

გიორგი ალიბეგაშვილი
20.06.17წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ კომისიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადებული ინიციატივების ჩამონათვალს, განკარგულების პროექტებს თანდართული რუკებით და შემოტანილ განცხადებებს. (2017 წლის 8 თებერვლის №1756 განცხადება; 2015 წლის 18 მაისის №08/9241 წერილი;2017 წლის 14 თებერვლის №2035 განცხადება; 2017 წლის 13 თებერვლის №06/1965 წერილი; 2016 6 დეკემბრის №19889 განცხადება; 2016 წლის 25 ნოემბრის №19399 განცხადება; 2016 წლის 2 აგვისტოს №14371 განცხადება; 2014 წლის 15 იანვრის №258 განცხადება; 2017 წლის 6 ივნისის №6608 განცხადება;2017 წლის 7 მარტის №2898 განცხადება; 2017 წლის 11 იანვრის №340 განცხადება; 2017 წლის 10 აპრილის №06/4597 წერილი; 2017 წლის 9 თებერვლის №1830 განცხადება; 2017 წლის 7 აპრილის №06/4539 წერილი; 2017 წლის 10 აპრილის №06/4609 წერილი; 2017 წლის 14 თებერვლის 06/2038 წერილი; 2016 წლის 2 ნოემბრის №18597 განცხადება; 2016 წლის 18 მარტის №5219 განცხადება; 2016 წლის 14 მარტის №06/4810 წერილი; 2016 წლის 7 მარტის №07/4256 წერილი; 2016 წლის 13 იანვრის №557 განცხადება; 2017 წლის 5 აპრილის №06/4381 წერილი; 2017 წლის 13 თებერვლის №1962 განცხადება; 2017 წლის 27 მარტის №06/3926 წერილი; 2016 წლის [redacted] №6822 წერილი; 2017 წლის 9 ივნისის №02/6764 წერილი; 2017 წლის 9 იანვრის №20865 წერილი; 2017 წლის 16 ივნისის №04/7012 წერილი; 2017 წლის 21 მარტის №3390 განცხადება.

გთხოვთ შემდგომ მითითებებს.

დანართი: 186 ფურცელი

პატივისცემით,

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 187 ფურცელი

1962, 06/3926, 1756, 08/9241, 2035 20.06.17
6822, 02/6764 06/1965, 19889, 19399, 1830

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ლ. ჯახველაძეს

გთხოვთ იმოქმედოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესაბამისად.

გიორგი ალიბეგაშვილი
20.06.17 წ

№№13749; 2145; 06/3927; 07/4154; 07/4152; 07/4150;
07/2715; 07/2717; 873; 06/3266; 07/5899; 04/3336

20.06.17 წ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-7 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ინიციატივით, განხილული იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხები:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გიორგი ციციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გია ხეოშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის გურამ ტატიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნისთვის დავით პეტრიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ბობ უოლშის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ;
6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მონასტრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის ელვერ კუპატაძის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი შესახვევისთვის გაიანე ხაჩატურიანის სახელის მინიჭების შესახებ;

8. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩისთვის გიული ჭოხონელიძის სახელის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მინიჭების შესახებ;
9. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩასთან არსებული ჩიხისთვის გიული ჭოხონელიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

დანართი: 108 ფურცელი

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

2016 წლის ივლისში კომისიაში შემოვიდა მოქ. გურამ ხეოშვილის №13749 განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ვიოლონჩელისტის გია ხეოშვილის სახელის მინიჭებას.

2017 წლის თებერვალში კომისიაში ასევე შემოვიდა მოქალაქე დავით ხმალაძის №2145 განცხადება, რომლითაც ითხოვს დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში უსახელო ქუჩის სახელდებას.

2017 წლის მარტში კომისიაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რეზოლუციით კომისიაში შემოვიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის ზურაბ ვადაჭკორიას № 06/3927 წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ექიმის, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლის გურამ ტატიშვილის სახელი.

ანალოგიური მოთხოვნით 2017 წლის მარტში კომისიაში შემოვიდა № 07/4154, № 07/4152 და ასევე № 07/4150 წერილები.

2017 წლის მარტში კომისიაში თქვენი რეზოლუციით შემოვიდა საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების თავმჯდომარის, თ.ს.ს.უ. ონკოლოგიის კათედრის გამგის, ჟურნალ „კლინიკური ონკოლოგიის" მთავარი რედაქტორის, პროფესორ რემა ღვამიჩავას № 07/2715 წერილი, რომლითაც ითხოვს ერთ-ერთი ქუჩისთვის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭებას.

2017 წლის მარტში კომისიაში იდენტური მოთხოვნით შემოვიდა 07/2717 წერილი.

№13749; 2145; 06/3927;
07/4154; 07/4152; 07/4150;
07/2715; 07/2717; 873;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

№ 04/3336 ინიციატივა, რომლითაც ქალაქის მერი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საძღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-7 მუხლის I პუნქტის თანახმად შუამდგომლობს რათა დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ან მოედანს ეწოდოს ბობ უოლშის სახელი.

როგორც მოგეხსენებათ, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება № 3/906-15 საქმესთან დაკავშირებით. შპს „პსპ ფარმა" და შპს „მანდარინი" ითხოვდნენ საკრებულოს მიერ 2011 წლის 25 მარტის № 17 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობას და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. ზემოხსენებული დადგენილება ნაწილობრივ იქნა ბათილად ცნობილი, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შპს „პსპ ფარმას" და სპს „მანდარინის" კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ვინაიდან 2011 წელს საკრებულოს მიერ გამოცემული დადგენილება იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო დღეის მდგომარეობით ასეთი აქტი არის განკარგულება, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2011 წლის 25 მარტის № 17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქუჩისთვის გიული ჭოხონელიძის სახელის მინიჭება ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება N 14-59 -ის მე-7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა ამავე მუხლში განმარტებულია გამონაკლისი შემთხვევები, რომლითაც თქვენ როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გაქვთ ინიცირების უფლება.

არსებული წესიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენი ინიცირების საფუძველზე განვახორციელოთ:

2015 წლის იანვარში კომისიაში შემოვიდა მოქალაქე ბუხუტი დვალიშვილის № 873 განცხადება გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით. კომისიამ მოახდინა ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი კონსულტაციები გაიარა სსიპ „თბილისის არქიტექტურის" სამსახურთან. როგორც დადგინდა, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უსახელოა და არაერთი მოქალაქე ცხოვრობს უსახელო ქუჩაზე. ხსენებულ ტერიტორიაზე თბილისის საკრებულოს მიერ 2014 წლის 3 ოქტომბერს № 125 განკარგულებით, ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა ელვერ კუპატაძის სახელი. ვინაიდან დღეის მდგომარეობით ხდება წყალსადენის ქუჩის მიმდებარედ ზემოხსენებული ტერიტორიის სრული სახელდება, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2014 წლის 3 ოქტომბრის № 125 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ელვერ კუპატაძის ქუჩის სახელის ახლად ჩამოყალიბებული ქუჩისთვის მინიჭება.

რაც შეეხება ელვერ კუპატაძის ყოფილ ქუჩას, იგი ყალიბდება ახლად ჩამოყალიბებული ქუჩის გასასვლელად.

2017 წლის მარტში კომისიაში თქვენი რეზოლუციით შემოვიდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის უფროსის დიმიტრი მახათაძის № 06/3266 წერილი, რომლითაც მოქალაქე რამინი ცქიტიშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას რეხის I ქუჩის მიმდებარედ.

2017 წლის მაისში კომისიაში შემოვიდა ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის № 07/5899 წერილი, რომლითაც ითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნისთვის უეფას და ფიფას მატჩების მენეჯერის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრის, თბილისის "დინამოს" ყოფილი მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის სახელის მინიჭებას.

2017 წლის 12 მარტს საქართველოს პრემიერ- მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიერ გაჟღერებული იქნა ინიციატივა თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს და თბილისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს საპატიო კონსულის აშშ-ში ბობ უოლშის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომლის სახელსაც საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი საინვესტიციო, ეკონომიკური და სოციალური აქტივობა უკავშირდება.

2017 წლის მარტში კომისიაში შემოვიდა მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას

√ 1. საბურთალოს რაიონში, გიორგი ციციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გია ხეოშვილის სახელის მინიჭება

√ 2. საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის გურამ ტატიშვილის სახელის მინიჭება

3. ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭება

4. გლდანის რაიონში, მონასტრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასლელისთვის ელვერ კუპატაძის სახელის მინიჭება

5. ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი შესახვევისთვის გაიანე ხაჩატურიანის სახელის მინიჭება

√ 6. საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნისთვის დავით პეტრიაშვილის სახელის მინიჭება

√ 7. საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ბობ უოლშის სახელის მინიჭება

8. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩისთვის გიული ჭოხონელიძის სახელის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მინიჭება

9. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩასთან არსებული ჩიხისთვის გიული ჭოხონელიძის I ჩიხის სახელის მინიჭება

დანართი: 104 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლოკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე